

5-67

33/03
5-6



№ 41

15 ქრისტეშობ. 1913წ.
საქართველოს
საზღვრო-საგარეო
წარმოების
საგარეო
საქმეთა
საგარეო
საქმეთა

მიიღება ხელის მოწერა
წლიური ფასი

== 3 მან. ==

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ.
ფიური და სალიბერატორო ჟურნალი
წელიწადი მეორე

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 10—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოსტისა: თბილისი კლდე.

393.

- | | |
|--|------------------------------------|
| 1. რუსეთის ახალშენები საქართველოში. | 6. ბუდნიერი შრინცი. |
| 2. ჩუენი შადღაწენი. — იპ. ვართაგავასი. | — თარგ. გ. ნამორაძისა. |
| 3. სამსები. — . . . ა — ისა. | 7. უკანასკნელი ამბები. |
| ს ა რ ჩ ე ვ ი: 4. ჩუენ და ცხოვრუ | 8. სოფლების აურა. — Legatus - ისა. |
| ბა. — დ. კასრაძისა. | 9. სამდროფო კარაბა- |
| 5. სიმღერა. — თარგ. | დინი. — ფირუზასი. |
| სამხურიდგან. . . მაგმაძისა. | 10. საზოგადოების საეურადღებოდ. |

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური

და სალიბერატორო ჟურნალი

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით	2 მან.
	3 თვით	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რუსეთის ახალშენები საქართველოში



იმაზედ საძაგლობა არა არის რა, როცა უგვა-
ნო და ჭუჭყიანი ადამიანები ორ 'ერის ნიქსა
და უნარზედ მსჯელობენ. ვინ არის უკეთესი და
ვინ არის უარესი — ეს მხოლოდ ობიექტიურ კრი-
ტიკის საქმეა. მაგრამ როცა საკითხში პოლიტიკა
არის ჩართული — იქ ობიექტივობას ნულად მოსძებ-
ნით. სწორედ ასეთ ობიექტივობას მოკლებულ
მსჯელობას წარმოადგენს ყოველივე ის, რაც არის
ნათქვამი მთავრობის ოფიციალურ „როსსიაში“, რუსე-
თის ახალშენების შესახებ საქართველოში.

მთავრობის ოფიციალური ორი დებულების დამ-
ტკიცებას სცდილობს: ერთი, რომ რუსის გლეხები
გაცილებით ნიჭიერნი და მომზადებულნი არიან ქართ-
ველ გლეხებზედ და მეორე, რომ რუსთა გადმოსახ-
ლება საქართველოში მართალი და სახელმწიფო სა-
ქმეა.

ჩვენის აზრით, არა გვეგონია, დიდ სახელსა და
პატივს მატებდეს რუსის ერს ის გარემოება, რომ
რუსის „მუჟიკი“ ქართველ „ტეტიაზედ“ ვითომც უნარიანი
იყვეს. სულ სხვა საქმეა, თუ მაგალითად პარალილს
რუსის გლეხსა და გერმანელ გლეხს, ან ინგლისელ
გლეხს შუა გაატარებინ. თუ რუსის ზოგიერთი პუბ-
ლიცისტები შესძლებენ იმ დებულების დამტკიცებას,
რომ რუსის გლეხი მართლაც გერმანელზედ, ან
ინგლისელზედ უნარიანია, ასეთ დებულებას მართ-
ლა დიდი მნიშვნელობა ექმნება და რუსის ხალხმა
შეიძლება იამაყოს კიდევ ამით. მაგრამ როდესაც
შედარება შეუდარებელ ოდნობათა შორის სწარმოებს
და რუსის აპეკიან მუჟიკს საქართველოში, გაძვალ-
ტყავებულ და უაპეკო ქართველ გლეხს უდარებენ,
აქ საქმე როგორღაც კარგად ვერ არის და ძალა-
უნებურად გჭვები გვებადება. მართლა რუსის ნიქ-
სა და უნარზეა აქ ლაპარაკი, თუ სხვა რამეზედ,
რომელსაც უმთავრესად გარუსების პოლიტიკის სუ-
ნი უდის?!

რუსის გლეხის ნიქისა და უნარში ჩვენ ქართ-
ველები უფრო ღრმათა ვართ დარწმუნებულნი, ვიდ-
რე თვით ოფიციალური რუსული „როსსია“. „როს-
სიას“ რომ მართლა სწამდეს რუსის გლეხის ნიჭი
და უნარი, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რუსის მუ-
ჟიკს ეხლა სხვა ამინდი ედგებოდა რუსეთში. მაგ-
რამ ეს არ არსებობს, „როსსიას“ რუსის გლეხის ნი-
ჭი და უნარი სრულიად არა სწამს და მხოლოდ

გასაოცარია, როგორ ხდება, რომ ოფიციალურად
რეგვენი და უნარს მოკლებული რუსის მუჟიკი
ცხოვრების მრავალფეროვან ტალანტად იქცევა
ხოლმე, რაკი ამ საცოდავ არსებას თავს ან საქარ-
თველოსკენ უკრავენ, ან პოლონეთისკენ.

ასეთი სასწაულებრივი პერტურბაცია ნიქისა და
უნარისა ჩვენ „ზარმაც და უნიჭო“ ქართველებს
არა გვწამს. არა გვწამს იმიტომ, რომ თუ ქართუ-
ლი ყურძენი რუსულ კლიუკვაზედ გაცილებით ძვი-
რად იყიდება და საქართველოში მცხოვრები რუ-
სის გლეხი, — რომელმაც ყურძენის დამუშავება ქართ-
ველისაგან ისწავლა, — ამით გაცილებით კარგ პირო-
ბებში სცხოვრობს, ვიდრე სცხოვრობდა ვოლოგდის
გუბერნიაში, — ეს რუსი გლეხის ნიქისა და უნარის
მაჩვენებელი კი არ არის, არამედ მაჩვენებელია სა-
ქართველოს მადლიან ნიადაგისა, რომელიც კლიუ-
კვის მაგივრად სამაგალითო ყურძენს იძლევა.

ეს რომ ასეა, ამას თვით „როსსიის“ პუბლი-
ცისტიც კარგად გრძნობს, როცა შემდეგს ამბობს:
„ეხლა ძნელად და იცნობს კაცი ამ სუფთა, დარ-
ბაისელ, შეძლებულ გლეხებში, უცხენო და ლატაკ
გლეხს, როგორც იყო იგი თავის სამშობლოში“.

მაგრამ ამას აშკარად ვერ ამბობს და რუსეთში
უცხენო მუჟიკის საქართველოში შეძლებულ და
სუფთა არსებად გადაქცევას მის ნიქსა და უნარს
აწერს. და ეს მით უფრო ღირს შესანიშნავიო,
ბრძანებს იგივე პუბლიცისტი, რომ რუსის მუჟიკმა
ასეთს ბრწყინვალე მდგომარეობას საკუთარის ძაღე-
ბით მიადწია, მას ამ საქმეში დამხმარე არავინა
ჰყავდა, პირიქით მოძულე და ხელის შემშლელი კი
ბევრიო. იმის დასამტკიცებლად, რომ მდგომარეობა
მართლა ბრწყინვალეა, ავტორს საბუთებიც მოჰყავს:
ყოველ რუს ახალშენში არსებობს საფერშლო პუნ-
ქტი, ორ კლასიანი სასწავლებელი, სამეურნეო სა-
დგური და სამაგალითო ჰიდრო-მოწყობილებანი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ასეთი მოწყ-
ობილი სოფლები თვით რუსეთშიაც არ არსებობს,
თუმცა, თუ კი საქმე რუსის მუჟიკის ნიქსა და
უნარზედაა, ეს ნიჭიცა და უნარიც რუსეთში მცხოვ-
რებ რუს გლეხებში უნდა უფრო მეტი გამოჩენილიყო,
ვიდრე საქართველოში გაბნეულ რუსის ახალშე-
ნებში. მაგრამ იქ რუსეთში ამისთანა რამ არ არსე-
ბობს, რუსის სოფელი მოკლებულია ასეთ კულტუ-

რულ დაწესებულებათ და ეს გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თუ საქართველოში მცხოვრებ რუს გლეხებმა მოახერხეს ის, რასაც ვერ ახერხებენ რუსის გლეხები რუსეთში, სჩანს აქ სხვა პირობები მოქმედებდნენ და გარეშე ძალთა დაუხმარებლივ არ მოხდა აყვავება რუსის სოფლებისა საქართველოში.

რაკი ასეა, აქ ფარდა უნდა ავხადოთ ამ გარემოებას და დავანახოთ საზოგადოებას—რუსის მუჟიკის ნიჭი მოქმედებდა აქა, თუ რუსის ბიუროკრატიის უნარი კოლონისტების მოწყობაში.

საქართველოში სულ ოცდა ათი რუსის ახალშენია და ამ ახალშენების მოსაწყობად შემდეგი დაწესებულებანი მოქმედებენ: **გადმოსახლების კომიტეტი**, რომელსაც მოჰყავს რუსობა საქართველოში, **საგლეხო ბანკი**, რომელიც აძლევს მიწებს, **სახელმწიფო ბანკი**, რომელიც აძლევს კრედიტს, **სამერაბო გამგეობა** (Водное управление), რომელიც იმუშავებს გეგმებს ირიგაციისას და დასასრულს **საერობო თანხა**, მოკრეფილი „უნიკო და ზარმაც“ ქართველ გლეხებში, საიდგანაც მუდამ ეძლევა დახმარება ახალშენებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ როცა „როსსიის“ პუბლიცისტი რუს კოლონისტის ნიქსა და უნარზედ ლაპარაკობს, ეს თუ აქვს მხედველობაში.

მაგრამ მარტო ამ დაწესებულებათა ჩამოთვლით არ თავდება რუს კოლონიზატორების „ნიქისა და უნარის“ დახასიათება. საჭიროა იმის ცოდნაც, თუ როგორის პირდაპირის და არა პირდაპირის საშუალებით ეხმარებიან ეს დაწესებულებანი რუსის ნიჭიერ და უნარიან მუჟიკებს.

დავიწყოთ თავიდან.

ყველა ამ დაწესებულებათა სათავეში სდვას **გადმოსახლების კომიტეტი**. მარტო იმ ფაქტიდან, თუ რამოდენა ფულსა ხარჯავს ეს კომიტეტი მულანის ველის მოწყობაზედ, ცხადი უნდა იყვეს, თუ რამოდენა თანხა ეძლევა მას მთავრობისაგან. მულანი რუსის მთავრობას უკვე ასი მილიონი უღირს, ამ კომიტეტის მთავარი დანიშნულება კოლონისტების ჩამოყვანაა რუსეთიდან, ეს კომიტეტი იღებს საგზაო ფულს, იგივე იძლევა თანხას ბინის მოსაწყობად პირველში და სამეურნეო სადგურებიც და საფერშლო პუნქტებიც ამ კომიტეტის მოწყობილია.

გადმოსახლების კომიტეტს გვერდში უდგია საგლეხო ბანკი, რომელიც შეღავათიან პირობებით ჰყიდის გადმოსახლებულებზედ მიწებს.

როცა გადმოსახლებული სახლსა და მამულს იძენს, მის დამხმარედ ამის შემდეგ გამოდის სახელმწიფო ბანკი. არავის არ ეძლევა საქართველოში ისეთი გრძელვადიანი სესხი პატარა-სარგებლით, როგორც რუს გადმოსახლებულებს. აღარას ვამბობთ სამერაბო გამგეობაზედ. ჰიდრო-მოწყობილებანი, რომელიც ისეთ ალტაცებას იწვევს მთავრობის ოფიციალისას—ამ სამერაბო გამგეობის „ნიჭი და უნარია“. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. სამერაბო გამგეობა ისეთ მზრუნველობას იჩენს გადმოსახლებულებსადმი, რომ, თუ მან თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა, მთელ საქართველოს „წყლით დამშვევა“ მოელის. ამაზედ არა ერთხელ ყოფილა ლაპარაკი პრესაში და ეხლაც უნდა გავიმეოროთ, რომ მულანის ველის მოსაწყობად, ჰიდრაულიკების გამოანგარიშებით საჭიროა მთელი საქართ. წყლების მობილიზაცია. მტკვრიდან, ლიახვიდგან, ქსანიდგან, არაგვიდგან, იორ—ალაზნიდგან და სხვა წვრილ მდინარეთაგან აღარავის არ ექმნება რუსის გაყვანის ნება. ამ მდინარეებმა მარტო მულანის ველი უნდა რწყან. ამრიგად თვით წყალიც კი, რომლის შექმნაში რუსის მუჟიკის ნიქსა და უნარს, ღვთის შეწვევით, არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის, მათი პირდაპირი დამხმარე გამოდის.

შესაძლებელია განა ყველა ამის შემდეგ იმის თქმა, რომ რუს კოლონისტებმა თავის მდგომარეობას პირადი უნარით და საქმიანობით მიაღწიეს? ჩვენ კვლავ გავიმეორებთ, რუსის ხალხის არც ნიჭი გვშურს, არც უნარი, მაგრამ როცა ოფიციალში ასე თავშეუდებლივ სცრუობს, სიმართლე მოითხოვს იმავე რუსის ხალხის პოეტის სიტყვებით მივმართოთ: „Послушай, ври, да знай же мёртву“.

ჩვენი „მოღვაწენი“

II

„კრიტიკოსი“

(დახასიათება)


„Въ простотѣ слова не сважеть, все съ ужимкой“.

ვინ არ იცის, რომ ჩვენში კრიტიკა ვიწრო და ტენდენციურია. მეგობრობა, ნათესაობა, იდეური სოლიდარობა, უბრალო სიმპატია—ანტიპატია—აი რა ამოძრავებს მას.

ობიექტიური, მიუდგომელი საზომი მისთვის თითქმის არ არსებობს. მეცნიერული ზომიერება, საგანთა და მოვლენათა ყოველ მხრივი აწონ-დაწონა და მერე მსჯავრის დადება ჩვენში იშვიათია. ჩვენი კრიტიკოსი ან მიწასთან ასწორებს ვისმეს, ან ცამდი აყავს, შეუდარებლად სთვლის რომელიმე ნაწარმოებს, ან და არავითარ ღირსებას არა ხედავს მასში. ერთი მწერალი გენიოსია მისის რწმენით, მეორე—უნტო, უფხო, უდივალო. საბუთი? კრიტიკერიუმო, იკითხავთ. მომეტებულს შემთხვევაში ჩვენი კრიტიკოსი უსაბუთოდ, უკრიტიკერიუმოდ სჯის და ასამართლებს, ან და რომელიმე ნასესხს და შეუფერებელ შეხედულობაზე ემყარება და ქართულ მწერლის ნაწარმოებს, მისი ღირსებას და ნაკლოვანებას სხვაგან ნაყიდ ადლით ზომავს. რამდენადაც ეს ადლი—საზომი უფრო შორის და უცხო ქვეყნიდანაა კონტრაბანდით ჩამოტანილი, იმდენად თამამად, მოურადებლად იმარჯვებს მას ჩვენი კრიტიკოსი და, დარწმუნებული ვერ შემიტყობენ თალღითობასო, შინაურ მასალიდგან თავის ხელით გამოჭრილად გამოაქვს ეს საზომი. თვის გარჩევას, კრიტიკულ შენიშვნებს, ნაწყვეტებს, „ნაფოტებს“, „ტოტებს“, „ფესვებს“ ადამიდან იწყებს, აღმოსავლეთ-დასავლეთის ფილოსოფიას გადაქექ-გადმოქექავს, სამარადისო განსვენებას უფრთხობს ძველ და ახალ სწავლულთ, მეცნიერთ, ფილოსოფოსთ და მათი სახელებით აკრელებს თვის „პაწია“ წერილს. ამნაირად მის „ნაფიქრალში“ შესავალი უფრო ვრცელი და დიდია; ვინემ თვით გამოკვლევა—ეს უმთავრესი ნაწილი თხზულებისა—დამოგვაგონებს იმ ანორმალურათ დაბადებულ ორგანიზმს, სხეულს, რომელსაც თავი ვეებერთელა აქვს, ტანი კი—პატარა...ახლა ყურადღება მიაქციეთ გამოთქმას, ფრაზათა შემადგენლობას და საზოგადოდ მისი ღირსი აზროვნების მთელს სიტყვიერს სამოსელს! როგორც ულამაზო, მახინჯი, ყვავილისაგან სახე დაქმული და ამასთანავე სისხლ-ნაკლები და გაყვითლებული ქალი ცდილობს თვისი სახის ნაკლი ფერ-უმარილით გაისწოროს, ზიზილ-პიპილით მოირთოს და აბრიალებულის შეხედულობით ვინმე გამოუცდელს თავი მოაწონოს, ისე ჩვენი კრიტიკოსი მომეტებულად ბრჭყვიალა სიტყვეის ძებნაშია, მოულოდნელ შედარებას და დაპირდაპირებას ებლაუჭება და ასე ჰქმნის ხელოვნურ პაფოსს, რათა თვალი მოსჭრას ეფექტებით, ყური მოატყუოს ყალბ სიტყვათა ბგერით. როგორც ქარი, თავისუფალია მისი სიტყვა, მისი აზროვნება, მაგრამ, როგორ ქარიც, გამოუსადეგარი, მსუბუქი, უნიადაგო.

მთელი მისი „მოღვაწეობა“, „შექმნა“ და „ხატება“ ერთგვარი გონებრივი კინთვია, რომელიც ჯერ-ჯერობით შესამჩნევ და შესაფერხებლად ნაყოფით არ დაგვირგვინებულა. ის ^{თითქმის} ყოველთვის თვისი შემოქმედების „ნაგლეჯში“ მხოლოდ გვირდება, გვაიმედებს „დიდი“ რამეს შექმნას, ფართოდ თვისი გონებრივი საგანძურის გამომწეურებას... ჩვენც უცდით, ველით, ვიმედოვნებთ!!! მაგრამ მოვესწრებით კი?!

იპ. ვართავავა.



ს ო მ ხ ე ბ ი

„სახალხო გაზეთმა“ გამოაქვეყნა სომხური პრესის აზრი პოლიტეხნიკუმის შესახებ. როგორცა სჩანს, სომხური პრესა ქართველებზედ უფრო მეტს ლაპარაკობს; ვიდრე თვით პოლიტეხნიკუმზედ. თუ ამას საკითხის პირდაპირ დაყენება ჰქვიან, იმ საკითხისა, რომელსაც ქართველ-სომეხთა დამოკიდებულება ჰქვიან, მაშინ პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ სომხური პრესის აზრი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს.

ჩვენ გვგონია, დროა სომხებმა და ქართველებმაც ნილაბი აიხადონ და ისე დაენახნენ ერთმანეთს. დროა მივხედეთ იმასაც, რომ ჩვენი კამათი არც იმას შეეხება, თუ ორ ერში ვინ უფრო კეთილშობილია—სომხები, თუ ქართველები! უკუსადებია რსიც, თუ ვინ უფრო მამაცი და უშიშარი იქნება იმ შემთხვევაში, თუ საქმე უკიდურესობამდე მივა. ჩვენ ქართველებმა დიდი ხანია ვიცით, რომ „მშიშარა ერები“ არ არსებობენ. ეს ვიცით ჩვენ იქიდან, რომ ამის მაგალითს თვით ჩვენ ქართველები წარმოვადგენთ. მაგრამ ჩვენ საკუთარ მამაცობას იმიტომ კი არ ვცემთ პატივს, რომ ვინმე შევაშინოთ, ამ ძვირფას თვისებას იმიტომ ვინახავთ, რომ არავის დავაბრიყვებინოთ თავი.

ქართველ-სომეხთა დამოკიდებულობა უფრო რთულია, ვიდრე შედარება ორ მოჭიდავე კომპლექციისა. ამ შედარებაში მნიშვნელობა იმ მუსკულებს კი არა აქვთ, რომელსაც ამ ეამად უჩვენებენ ერთმანეთს ქართველები და სომხები, მნიშვნელობა აქვს იმ ფსინიკას, რომელსაც მოჰყავს მოძრაობაში ეს მუსკულები. იმ ნაწერებიდან კი, რომელიც ჩვენს წინ სდევს და რომელიც სომხურ საზოგადოებრივ

აზრს წარმოადგენს, არა სჩანს რომ სომხები ამ თსიხიკას უწევდნენ ანგარიშს. განა საქმე მართლა მართო პოლიტიკური უმშია? ან მით უმეტეს ნავთლულში? ჩვენის აზრით ნავთლულიც ისეთივე საქართველოა, როგორც საბურთალო და ის ქარები, რომლებიც ნავთლულში უბერავენ—საქართველოს ქარებია. ყველა გაეცლება ამ ქარებს, გაეცლებიან სომხებიც, მაგრამ ჩვენ ქართველები კი ვერ გავეცლებით მას. ეს ჩვენი, ქართველების ნაკლია და არა მათი, სომხებისა. მაგრამ ქართველები მთელი წელიწადია ვლანძღავთ ამ ნაწილს ჩვენი დედა ქალაქისას, რომელიც ყველა ნაწილებში ერთნაირად ძვირფასია ჩვენთვის, და არავის სურს ჩაუკვირდეს რით არის გამოწვეული ასეთი გვემა საკუთარის სხეულისა?

ასეთ საკითხს არავინ არ გვაყენებს და სამაგიეროდ გვეკითხებიან: შესაძლებელია განა ორ მეზობელ ერს შორის ასეთი განხეთქილება? ჩვენ პირდაპირ უნდა ვუპასუხოთ, რომ თუ კი არსებობს განხეთქილება, სჩანს, შესაძლებელია! სჩანს, არსებობს რამე ღრმა მიზეზი, რომელიც იწვევს ამ განხეთქილებას. თუ არ ეს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველებიც და სომხებიც არა არიან რა, თვინიერ მონტეკისა და კაპულეტტისა მრავლობით რიცხვში, რომელნიც მხოლოდ უმიზეზოდ კინკლაობდნენ.

სადღა არის მაშინ სოლიდარობის პრინციპი, პრინციპი პროგრესისა, რომელიც ერთა შორის ძმობასა და ერთობას ქადაგებს, გვეტყვიან ჩვენ? პროგრესისა და სოლიდარობის პრინციპი, რასაკვირველია, ამ განხეთქილებაზედ თავის სანქციას არ მოგვცემს და იგი უმაღლეს საკაცობრიო იდეალებისაგან არასოდეს არ იქმნება დადასტურებული. მაგრამ ამის გამოისობით ეს განხეთქილება არ მოისპობა და ჩვენც იძულებულნი ვართ ანგარიში გაუწიოთ მას, სწორედ ისე, როგორც ანგარიშს უწევს საზოგადოება ფაქტს „უკანონო შვილების“ ყოლისას, თუმცა ეს უკანასკნელი სახელმწიფო და საზოგადო მორალისაგან კანონის გარეშე არიან დაყენებულნი. ქართველ-სომხებთა განხეთქილება ასეთივე ფაქტია, კონტრა-ფაქტი საკაცობრიო იდეალისა.

მიზეზი? იკითხავს ყოველი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მიზეზი ქართველ საზოგადოებაში საკმაოდ არის შეგნებული. საჭიროა მხოლოდ, რომ მას სომხებმაც გაუწიონ ანგარიში. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ სომხურ იდეურ წრეებში ისეთი ცნებებია გამეფებული ქართველების შესახებ, რომლებიც გარდა ისტორიულ ცრუმორწმუნოებისა, დიდი ხა-

ნია, არაფერს არ წარმოადგენენ. ერთ ასეთ ცრუმორწმუნოებად გადაქცეულ ცნებად უკვე ჩვენის მოვლენა, რომ სომხები აქამდე ქართველებს „მეზობელ“ ერად გვთვლიან. ისტორიულად ასეთი შეხედულება სრული ქეშმარიტებაა. ჩვენ ოდესღაც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოვადგენდით და ეს სახელმწიფონი ერთმანეთის მეზობლად იდგნენ. მაგრამ ეს იყო ოდესღაც. მას აქეთ დიდმა ხანმა განვლო და ჩვენ უკვე ვეღარ ვხედავთ იმ დემარკაციულ ხაზს, რომელიც ჰყოფდა და აერთებდა საქართველოს და სომხეთს, რომელიც ჰქმნიდა ამ ისტორიულ მეზობლობას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, როდესაც ჩვენა და სომხები, მართლა მეზობლები ვიყავით, როდესაც არსებობდა ჩვენი გამყოფელი ხაზი, არც ეს განხეთქილება არსებობდა. მართალია, იყო ჩვენ შორისაც ომები, მაგრამ როდის ყოფილა რომ ომი თვით ხალხს დაეწყო? ჩვენ ვომობთით ერთმანეთთან ან სპარსეთის, ან ბიზანტიის გულისთვის. სხვაფრივ, თუ არ მოვიგონებთ კათოლიკოს აბრაამის წყევლას, სომხებსა და ქართველებს შორის დიდი უსიამოვნობა არ ყოფილა. აი რას გვეუნება ისტორია! და ეს იყო მაშინ, როცა ჩვენ მართლა მეზობლები ვიყავით. მაგრამ ვამბობთ, მას აქეთ კარგა ხანმა გაიარა და ისტორიულმა პირობებმა ითამაშეს აქ დიდი როლი, პოლიტიკურმა, და ეკონომიურმა; მოხდა ის, რომ ოდესღაც მხოლოდ „მეზობელი“ სომეხი ებლა სახლში ჩავვისახლდა. უბრალო ენახედ მეზობლობა ისეთ წესრიგს ჰქვიან, როცა თქვენი საკუთარი ქოხი ჩემ საკუთარ ქოხის გვერდზეა. მაგრამ როდესაც თქვენ საკუთარ ქოხიდან გამოდიხართ და ჩემს საკუთარ ქოხში სახლდებით, ჩემი პირადი კეთილდღეობის აშკარა ვნებით, ეს უკვე მეზობლობა კი არ არის, ეს არის კონკუბინატი ორ მოძულე არსებათა. აი, რა ვართ ჩვენ და არა მეზობლები!

ქართველებიც და სომხებიც ისტორიული ერია. ჩვენ ორივე ერმა დაგკარგეთ პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ არც ქართველებს არც სომხებს არ დაგვიკარგავს პოლიტიკური თავისუფლების აზრი. ეს უკანასკნელი რომ არა გვეკონდეს, არც ჩვენ, არც სომხები გროშად არ ველირებით. და ამაში გამოსქვივის არა იმდენად უფლება ჩვენი, რამოდენად მოვალეობა მთელი ჩვენი სამოქალაქო და სულიერი ცხოვრება იქით უნდა მიისწრაფოდეს, მთელი ჩვენი განვითარება აქეთკენ უნდა ხრიდეს თავის ბოლოს, რომ განვაკითხოთ ეს აზრი. დეე, ეს იყოს გვიან, დეე ამას დასჭირდეს

ბევრი ოფლი და დიდი შრომა, დეე ამით დასტკბეს მხოლოდ მესე ჩამომავლობა და ჩვენ კი, თანამედროვენი, მოკლებულნი ვიყვეთ მის ცხოველ-მყოფელ სხივებს—მით უმეტეს დიდია მოვალეობა ჩვენი, სწორედ აქეთკენ ვხაროთ ლარი ჩვენის ბედისა! მაგრამ ვინ—სად? აი, საკითხი. და როგორ გგონიათ, რა მისსიას ახორციელებენ აქ, საქართველოში სომხები? მათ შეისყიდეს ჩვენი ტერიტორიის ნაწილები და ზედ „არმენიზმს“ ამკვიდრებენ, მათ დაიპყრეს ეკონომიურად ჩვენი ქალაქები და ზედ იმავე „არმენიზმის“ დროშას აფრიალებენ! და ყველა ამას ისინი სჩადიან იმ ერის კერაზედ, რომელიც მათ ზედ ნაკლებ არ არის გატაცებული საკუთარი აღორძინების აზრით! შეიძლება განა ამის შემდეგ „მეზობლობაზედ“ ლაპარაკი?!

სომხის ბურჟუაზია, რომელიც იმავე დროს სომხის ერის იდეოლოგიად გამოდის მუდამ, გასაოცარის ჯიუტობით ერეკება სომხის მასას ახალ ადგილებსაკენ. იმას გარდა, რომ ასეთ მოწოდებას თავის-თავად ანტიპატრიოტული ხასიათი აქვს და ვერასოდეს ვერ განავითარებს სომხის ხალხში სიყვარულს სამშობლო ტერიტორიისადმი, ასეთი მოწოდება სომხურ ელემენტებს იმ მიკრობებადა ჰქმნის, რომელიც ყოველ სხვა სად ეროვნულ ორგანიზმს ავალებს. ამ მხრივ როლი სომხებისა კავკასიაში ანტიეროვნულია. მთავრობის ხელში იგი მუდამ ბრმა იარაღის როლს ასრულებს, რომლის საშუალებით მთავრობა ყოველ ეროვნულ ორგანიზმში მეტხორცსა ჰქმნის. სამაგიეროდ მათ ნება ეძლევათ ყველგან და ყოველთვის თავიანთი ვიწრო შოვინიზმი აღვივონ. მით უმეტეს, რომ მთავრობისთვის სომხური შოვინიზმი საშიში არ არის. მთავრობას კარგად ესმის, რომ სომხები კავკასიაში ვერასოდეს ვერ მიაღწევენ ისეთ მდგომარეობას, რომ ოდესმე ეს მდგომარეობა საფრთხედ იქცეს, მაგრამ ეს როლი თვით სომხებს კარგად შეგნებული ვერა აქვთ. მათ გადამეტებული წარმოდგენა აქვთ, როგორც თავის კაპიტალზედ, ისე თავის ეროვნულ ძალებზედ და ზოგჯერ მათი ყოფა-ქცევა ისეთ აგრესიულ ხასიათს იღებს, რომ ძალა-უნებურად შიშსა და მღელვარებას იწვევს ქართველებში. მაგრამ შესძლებენ თუ არა სომხები შეინარჩუნონ ეკონომიური უპირატესობა საქართველოში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი რამ მეოცე საუკუნეში ყოველად შეუძლებელია. განვითარება ერებისა „სეკრეტების“ საშუალებით არა ხდება, რომელიც შეიძლება ერთ ერს ჰქონდეს და მეორეს

კი არა. ცოდნა საკაცობრიო გახდა, ეკონომიურ ცხოვრების კანონები უნივერსალური და უაღვლოდებულია ყველასათვის და ყველა ერისთვის პირობებში აყენებენ. და ჩვენა ვფიქრობთ, რომ ქართველებს საკმაო უნარი აქვთ, რომ გამოიყენონ ეს პირობები თავის სასარგებლოდ, მხოლოდ რაც შეეხება თვით სომხის ერს—იგი ფრიად მკირე რიცხოვანია, პოლიტიკური ბედი მისი ფრიად პრობლემატურია და ტერიტორიალურად იგი ძალიან დაქუცმაცებულია, რომ შესძლოს ორ მილიონ ქართველების მათი ქვეყნიდგან გარეკა, მათი კუთვნილების დასაკუთრება და მათ ადგილას თავისი დამკვიდრება, ამას ვერ სჩადიან თვით თანამედროვე უდიდესი სახელმწიფონიც. სომხები, რომლებიც თავის გავლენას მარტო ეკონომიურ უპირატესობაზედ ამყარებენ და თავის ეროვნულ პროგრამასი მარტო ამას უდებენ სარჩულად, ძალაუნებურად ამართლებენ იმ აზრს, რომ კარგი კომერსანტი შეიძლება მდარე მკოდნე იყვეს ეკონომიურ განვითარების კანონებისა. სომხები ანგარიშს არ უწყევენ იმ მოვლენას, რაც ასე ახასიათებს ყოველ ერს მეოცე საუკუნეში. „სრული განვითარება უცხო ერთა ეკონომიურ ულლიდგან“. აი, ლოზუნგი თანამედროვე ერისა. არავინ არ იყო ეკონომიურად ისე დამოკიდებული უცხო ერთაგან, როგორც იტალია, მაგრამ მისი წარმოება ეხლა ეროვნულია, რადგან იტალია მიხვდა, რომ ასეთი დამოკიდებულება მისთვის პოლიტიკური საფრთხე იყო. თვით დამონებულმა ინდოეთმაც კი შესძლო ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზედ ინგლისთან და ეხლა ინდოეთი დამოუკიდებელი მწარმოებელია. ადრე თუ მალე საქართველოშიაც ეს უნდა მოხდეს. იგი უნდა განთავისუფლდეს სომხის ეკონომიურ ულლიდგან. გვეტყვიან, რომ ჩვენ ქართველები იტალიელები არა ვართ. არ ავხირდებით. თანამედროვე ცხოვრების პირობათა შეგნებაში, ჩვენ იქნება ინდოელებზედაც დაბლა ვიდგეთ. მაგრამ ჩვენი ნუგეში ის უნდა იყოს, რომ არც თუ სომხები არიან ინგლისელები. ამისთვის საჭიროა მხოლოდ დრო და მუშაობა.

ყველა ზემოდ ნათქვამი ისეთ ლოლიკურ დასკვნას მოითხოვს, რომელიც უპირველესად სომხის ბურჟუაზიისთვის უნდა იყოს საგულისხმო. რაკი ერთის მხრივ სომხის ბურჟუაზიის ეროვნული პროგრამა იმაზედ იყო დაფუძნებული, რომ თავისი ნახევრად კაპიტალისტური და ჩარჩული უდიდი ვიზედმე დაედგა და ამით შეგქმნა თავისი ეროვნუ-

ლი კეთილ-დღეობა და რაკი, მეორეს მხრივ, ყოველი ერთი სცდილობს ამ უცხო ეკონომიურ უღლის მოშორებას, ნუ თუ ის ეროვნული პროგრამა. რომელსაც აწარმოებს ის საქართველოში წინდაწინვე განწირული არ არის? ჩვენ ვფიქრობთ, რომ დადგება დრო და ეს პროგრამა სამარის მიწად წაეყრება მათ შემქმნელებს. არა გვგონია სომხის ერმა მადლობით მოიხსენიოს ისინი. და ამასაც თავისი გასამართლებელი საბუთი ექნება.

სომხის ბურჟუაზიას ასი წლის განმავლობაში იმაზედ მეტი არა უკეთებია-რა, რომ რუსის მთავრობას დასდევდა და იქ ბანაკდებოდა, საცა ეს უკანასკნელი თავის კანცელარიას ხსნიდა, ცხადია, რომ სომხის ხალხი მათ ვერ გაჰყვებოდა და რა გამოვიდა აქედან? ის რომ სიმდიდრე, გონება და კულტურა სომხის ბურჟუაზიისა მოექცა საქართველოში, თბილისში, იმ დროს როცა მისი მთავარი მომხმარებელი თბილისიდან ასე შორს იყო. ისტორია ერთხელ როდისმე იტყვის, რომ ეს იყო ამბო შრომა და ოფლი.

ა - ი.

ჩვენ და ცხოვრება

ჩვენი ცხოვრების ტრაგედია კულმონაციურ წერტილს აღწევს. აგერ ახდლია ფარდა. ჩვენ ვხედავთ ჩვენს სამშობლოს. არ ვიცით, დასაწყისია თუ დასასრული ამ ტრაგედიისა. ის კი აშკარაა, რომ სადაც საშინელება ხდება, სიცოცხლე მძაფრდება, დგება მომენტი, როდესაც ჩვენი ყოფნა—არყოფნის საკითხი კრისტალიდ უნდა მოიხაზოს და გადაჭრილი პასუხი მიეცეს. და ამის მაყურებელთ ჩვენ გონი გვერევა. ბევრგან ვაქარბებთ, ბევრგან არასფერს ვამბობთ. საკუთარ უძლურებაზე ვჩივით იქ, სადაც კიდევ ძალა მოგვეპოვება და წინააღმდეგ. ჩვენ ვგრძნობთ საშინელს ტკივილებს და ეს გვაწყვეტინებს აღმოსავლეთურ ფატალიზმთან ჯაღოსნურ კავშირს, რომელიც მთელი საუკუნოებით ჩვენ გვბორავდა ეს ის ფატალიზმია, რომელიც უღარდებლობასა და დაუდევრობას გვაჩვენდა, ოცნებისა და თეორიების აკვანში გვარწევდა და პრაქტიკულად ცხოვრებასთან მაშინ თუ გამოგვიყვანდა საბრძოლველად, როდესაც გარეშე მტერი მოიწევდა ჩვენს შესამუსრად. ეხლა დრო არ არის იმისი გარკვევისა, თუ რაოდენად შემეცნებული იყო თუ ინსტიტუტური ეს ბრძოლა, ჩვენ ის ვიცით, რომ ასე

თუ ისე ამ დაცვამ დღეისის უღელტეხილზე მოგვიყვანა და ისევ მიგვაძინა. დღეს კი როდესაც თვალეხს ვიფიქრებთ, ჩვენ საშინელებად გვეჩვენება ჩვენს გარშემო ყოველისფერი. ყველაფერი სასტიკდება... ჩამორჩენა... სილატაკე შიგნით... სილატაკე გარედ... მკონარეობა... „ვიღუპებით!“ ვყვირით შინ, ვყვირით გარედ, ვყვირით პრესაში: „აღსრულდა!..“ „საქართველოს მზე ჩაესვენა...“

და ეს ძახილი, ეს უნუგემო კრემლით მოთქმა ცხადი მაჩვენებელია იმისი, თუ რა გულუბრყვილო ფილოსოფოსები ვიყავით თეორიების შემქმნაში, ხოლო რა მოუშხადებელნი ვართ ცხოვრებისათვის, როდესაც პრაქტიკა გვიწვევს სამოქმედო ასპარეზზე გასასვლელად. ჩვენი დიდი უნარი ცხოვრებასთან შებრძოლებისა ერთ მხრით სასოწარკვეთილებით ძახილში გამოიხატა, ებრაელობა გველის ბუნდოვან პერსპექტივებშიო, ხოლო მეორეს მხრით გულუბრყვილო მედიდურობაში რომელიც, თუნდა პარიზელ ახალგაზრდობის წერილში სჩანს. *)

ჩვენი მამები კი ასე არ იქცეოდნენ. ცხოვრებას უფრო პრაქტიკი თვალთ უყურებდნენ და თეორიებიდან შორს იდგნენ. განსვენებული დიმიტრი ყიფიანი ბანკს რომ აარსებდა, უმთავრესად პრაქტიკული მიზანი ჰქონდა სახეში, რომ საქართველოს ტერიტორია ეხსნა დალუპვისაგან. მან ნაადრევად განსკვრიტა ის საშინელება, რომელსაც ეხლა ვხედავთ ჩვენს გარშემო. მისი სურვილი იყო, რომ ბანკი დამცველ იარაღად ყოფილიყო და იქ დატრიალებულიყო ჯარსავით, სადაც მამული უცხოთა ხელში გადასვლას დააპირებდა. გავიხსენოთ მისი პოლემიკა ილიასთან ბანკის თაობაზე, გავიხსენოთ მისი სასოწარკვეთილი დასკვნა რუსეთში გადასახლების წინ, როდესაც ნაღვლიანად დაიჩივლა: ასე რომ მკოდნოდა ბანკს სრულებითაც არ დავაარსებდიო. **)

რა თქმა უნდა ამითი იმისი თქმა არ მინდა, ვითომც ბანკს დავავალო მან შეისყიდოს მამულები. არა! აქ ილიას მოსაზრებას ვერაფერს გაუწევს წინააღმდეგობას, ვინაიდან ბანკს თავისი დნიშნულება აქვს და ასეთი ოპერაციებით სულ ერთი-

*) იხ. კლდე № 33. მარიხელ საზოგადოების წერილი.

**) სამწუხაროდ გარემოება ხელს გვიძლავს ამ საინტერესო პოლემიკის მიხედვით უფრო დაწვრილებით გადამგვეცა.

ანად გაკოტრდება. მაგრამ ისიც მართალია, რომ ჩვენ შეგვიძლიან დიმიტრი ყიფიანის განზრახვა. მოვატრიალოთ და ამ კრიტიკულს მდგომარეობაში გამოვიყენოთ, იმისივე მამულიშვილური დევიზით: „მამულები კი არ უნდა გაიყიდოს, არამედ უნდა შევიძინოთ!“

მაგრამ საკითხი სწორედ ის არის, როგორ და რა გზით?

ვგონებ ყველა ნაღვლიანად ჩაიღიმებს, თუ ჩემს პასუხის მოლოდინში თავად აზნაურობას დაინახავს, ეს იმ თავად აზნაურობას, რომელსაც ყოველ მხრით ვეწევით, ვწიწქით და თან ვაყვედრით კიდევ. მაგრამ სულ ერთია, ვინ როგორ უყურებს თავად-აზნაურობას. ეს კი აშკარაა, რომ ხსნა მხოლოდ მას შეუძლიან და სხვას არავის. თუ გავიხსენებთ, რომ ყოველ წლივ თავად-აზნაურობა უქმ პროგიმნაზიებზე რაოდენ ფულს ხარჯავს, თუ გავიხსენებთ გულუბრყვილო საფილანტროპია წვრილმანებზე რაოდენი ეხარჯება მას, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ ამ წვრილმანების გაწირვით მას შეუძლიან თავისუფლად დააარსოს ფონდი, რომელიც ასეთს შემთხვევებში იმოძრაებს და გლეხებთან მორიგებით ხელიდან არ გაუშვებს იმ მამულს, რომელიც იყიდება. ეს იქნება თვით ჩვენს მამათა იდეალის აღდგენის დღე, მათი ფიქრებისა და ზრახვის გამართლება და გამარჯვება.

ჩვენი ყოველდღიური საყვედური, პროტესტები, თუ შემამულენი რად ჰყიდიან მამულებსა, თუ რად ყიდულობენ უცხოელნი დამამტკიცებელია იმისი, თუ რაოდენად უმწიფნი ვართ ეკონომიურ საკითხებში. ჩვენ გრძნობის ხალხნი ვართ და სწორედ ამიტომ დაიბადა ცნობათა აღრევა და დაგვა ვიწყდა, რომ არავითარ მორალს ადგილი არა აქვს ეკონომიურ საკითხებში. ჩვენი შემამულენი იმდენად შესისხლხორცებულნი არიან მამულთან, რომ ასე ადვილად არ დასთმობენ, თუ კი შესძლებოდათ შეჩერება. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ როგორ ვალში იხრჩობიან. შეგვეძლო დაგვეყვედრებინა მაშინ, მანთაშევისა და სხვების ადგილას ვინმე ქართველი წარსდგა და მას უარი უთხრა, ან ნაკლებ ფასში არ მიჰყიდა. პირიქით რავდენადაც ვიცით, სადაც კი მამულების გაყიდვა ჰსურდათ, ერთგან არავინ ამოიღო ხმა. გლეხობამ დიდი ხანია ზურგი შეაქცია ამ საკითხს: მას სჯერა, სჯერა, რომ სოციალდემოკრატია ყოველად შემძლებელი ღმერთია, რომ კომიტეტი შეუსყიდველად დაურიგებს მამულს. უკუღმართობაა ეს, მაგრამ ფაქტს ვერავინ აღვუდ-

გებით. ასეთი პროტესტები, ასეთი საყვედური და რაოდენადვე მორალური მოსახრებით შეჯახება შეგვეძლო წინად, როდესაც მუხრანსკები, ბარათაშვილები, ჭავჭავაძენი, ორბელიანები, მელიქიშვილები და სხვები ჰყიდდნენ მამულებს და ამდიდრებდნენ ან არამიანცებს, ან არა და „უდელნი“ მამულების გამგეთ. თვითვეული აქ ჩამოთვლილის მამული მთელი სამთავროები იყო, საქართველოს დაუშრეტელი სიმდიდრე. მათ შეეძლოთ არ გაეყიდათ, მაგრამ გაჰყიდეს, როგორც ძველადვე სჩვეოდნენ სამშობლოს გაყიდვას. დღეს კი ვინც ჰყიდის, ჰყიდის იმიტომ, რომ ვალებშია ამოხრჩობილი, სხვა გზა არა აქვს...

და აი, ასეთ შემთხვევაში თავად-აზნაურობის მიერ გამოღებულ ფონდი საუცხოვო იარაღი იქნება განსაცდელის თავიდან ასაცილებლად. ნუ გვექმნება შიში, ვითომც ასეთი ფონდი მალე სრულკრახით გათავდება. არა, მადლი გამჩენს! დღითიდღე ნაწვენვმა სიმწვავემ საქართველოს შვილებს თვალები გაახელინა. თუ აქნობამდინ არა ვიცოდით რა ჩვენი სარჩო-საბადებელის მოხმარებისა, ეხლა მოვიხმაროთ. დღემდე გვეგონა, მსოფლიო მზე მხოლოდ რუსეთის საზღვრებში ამოდის და ჩადისო. დღეს სხვასა ვხედავთ, ვხედავთ, რომ მოძრაობაა საკირო, თვალის გახელა. ბელგია ეს ერთი ბეწვა ქვეყანა, მთელს ქვეყნიერებაზე ატრიალებს კაპიტალს, სულ კი თავისი გამჭრიახობით. მართალია, ბუნებამ მას იმდენი სიმდიდრე არ მისცა რაც ჩვენ, მაგრამ დახედეთ ევროპის პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა შორის მეოთხე ადგილი უჭერია. რატომ? კოდნამ და აქეთ-იქით გასვლამ ასწავლა ფულის შეძენა და მოხმარება. ჩვენც დღეს თუ არა ხვალ მაინც გავბედავთ უცხოელებთან მისვლა-მოსვლას, ვისწავლით მათ კოდნის ფარ-ხმალის ხმარებას. ჩვენი თავად-აზნაურობის ფონდი არ იქნება უძრავი, ამ შემთხვევაში მამულების დაცვის იქით შეეძლება სხვა რაპერაციებსაც მოეკიდოს გასაძლიერებლად, ვინაიდან უცხოელებთან რაიმე საქმის გაკეთება მას უფრო შეუძლიან (მისთვის ერთი წოდებაც არის საკმაო გარანტია, თუნდა საჯარო თანხა არც კი დაინახვოს უცხოელთ ბანკით), წაგებით ორს წაგებს, მოგებით კი ყოველთვის მოგებულნი დარჩება. ეს შეგვაძლებინებს ფრიად სიმპატიურ სამეურნეო საზოგადოების გაძლიერებას, რომელიც შეეცდება სამეურნეო სკოლების გამრავლებას, რომ მეტი სპეციალისტები აღმოგვიჩნდნენ. ჩვენი მამულების დავალიანება, მათი გასყიდვის გახშირება იმან გამოი-

წვია, რომ არ ვიცით ჯეროვანად მისი მოვლა. აბა მოვეუაროთ, აბა ვცადოთ ერთი-ორგან მცოდნის ხელი დავატრიალოთ, თუ ჩვენი მიწათ-მოქმედება არ აპყვავდეს. ჩვენ კი საუკუნოებით მას მივდევთ და მის გაუმჯობესობა ჩვენს იდეალს უნდა შეადგენდეს ვინაიდან ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი სწორედ მასთან არის გადახლართული.

მაშ ასე, დროა ტირილ-ჩივილი, თეორიები და მშრალი ოცნებანი თავიდან მოვიშოროთ. მუქარა, ფანტაზია ცხოვრებაში ნაღვლიან სიცილს გა-

მოიწვევს. საქირთა რეალური საშუალება. ეს არის ის, რაზეც დიმიტრი ყიფიანი ოცნებობდა: ფონდის დარსება¹⁾ თავად-აზნაურების მიერ. ამასთან პრაქტიკა და ცოდნა, ცოდნა მას პრაქტიკა, აი რას ითხოვს ჩვენი მდგომარეობის კრიზისი. აი როგორ და რითი უნდა პასუხი გავცეთ ჩვენს ცხოვრებას.

ბრიუსელი. 17 დეკ. 1913 წ.

დ. კასრაძე.

ს ი მ დ ე რ ა*)

უცხოეთში მყოფ ჭაბუკისა.

(ახალი თარგმანი სომხურისა)

მერცხალო პაწაწინავ, გაზაფხულის ფრინველო,
 მითხარ, საით მიფრინავ, ცქრილაავ, ფრთა-ფიცხელო?

შა, გაფრინდი მერცხალო, ჩემს სამშობლო აშტარაკს,
 ძველ ბუდეში ბარტყთ დაზრდი, მათ დაუწყებ ლაპარაკს...

იმ სიშორეს ჭალარა მაშა მყავს მე მწუხარე,
 თავის პირმშოს მიმელის დღე მუდამ და ცისმარე!

რა ნახო, გადაეცი ჩემი სალამი ტკბილი,
 უთხარ მითროს მისი მე უბედური შვილი!

უამბე, სისაწყლესი როგორ ვწყალობ მე, მწირი,
 სიცოცხლე მიმოკლდება, სულ ვქვითინებ, სულ ვტირი!

ჩემთვის დღისითაც კი მზეს ღრუბლები ეფარება,
 და ლამით მტირალ თვალებს ძილი არ შეკარება!

უთხარი თუ—კოკორი ობლად ვქენები ყვავილი,
 გაუფრჩქენელი, ლამაზი, სამშობლოს მოწყვეტილი!

მაშ, მალბაზო მერცხალო, გაფრინდი გაუსწარ ქარს,
 სომეხთ არეს მიფრინდი ჩემს სამშობლო აშტარაკს!

1913 წ. 24/VI

ს. თალინი.

მაგმაძე.

¹⁾ თუ კი ეს წინადადება ხელახლად აღძრული იქმნება ჩვენს ზრესაში, შეგვიძლიან მშრალი სქემა მოვსებოთ, თუ რა ფარგლებში უნდა იქმნეს ეს ფონდი დაარსებული. დ. კ.

*) ამ დეკლარაციის სიუჟეტი სომეხ მწერალს აღებული აქვს იტალიურიდან.

ბედნიერი პრინცი

(დასასრული)

აი მერცხალმა გადაიარა თეთრი, მარმარილოს ან-გელახებით მართული სამრეკლო, წინ გაუფრინა ხელ-მწიფის სასახლეს, სამეფლისა მუსიკის ხმა მოისმოდა: მშვენიერი ქალწული გამოვიდა აივანზედ თავისი თაყუ-ანისმცემელთან ერთად.

— რა საუცხოოა არაან ვარსკვლავები, და რა დი-და სიუყვარულის ძლიერება, — უთხრა მან ქალწულს.

— იმედი მაქვს ჩემი კაბა დიდ სამეფლისათა მზად იქნება, — უპასუხა ქალმა, — მე ვუბრძნე ოქრომკვდის სა-გვრიათ მკერთა ისა; მაგრამ ეს ოქრომკვდის შქარგაფნა ასე ზარმაცია არაინ.

მერცხალი მდინარეზედ გადაფრინდა და გემების მძაფრ იაღჭნებზედ ღამთვები შენიშნა. შეამჩნია, მოხუცი ებრახელები სასწორზედ ფულუბისა სწონავდნენ. ამასობაში ღარიბის ოჯახსაც მიაღწია და მიგ შეიხედა. ბავშვი სა-შინლად შფოთავდა თავის პატარა საწოლში, დედას კი თავი ხელებში ჩაუდო და ჩასძინებოდა: საბრალო მთლად მოქანცულიყო. მსწრაფად შეფრინდა მერცხალი ოთახში და დიდი ჯალი მკერავალი ქალის სათითეს გვერდზე მა-გადაზუდ დასდო. შემდეგ საწოლს რამდენჯერმე ორგუ-ლივ შემოურბინა და თავისი ფრთებით უმაწვიალს გახუ-რებული შუბლი გაუგრიალა.

— უჰ, როგორი კარგი სით მოდის, — სთქვა ბავ-შვმა, — მკონი ეხლა ცოტა კარგადა ვარ — და მეორე გვერდზე გადაბრუნებულმა ტკბილად შაიძინა.

მხოლოდ მაშინ გამოფრინდა მერცხალი ბედნიერ პრინციან და ყველაფერი უამბო.

— და საკვირველია, — დაათვა იმან თავისი ამ-ბავი: — ეხლა სრულიად შობილა, თუმიცა კი უინვა დვას.

— ეს იმიტომ, რომ კეთილი მოქმედე, — უთხრა პრინციმა. და პატარა მერცხალმაც დაიწყო ფიქრი, მაგ-რამ ჩქარა ჩაეძინა: ფიქრები ყოველთვის ძილსა ჭკვრი-და მას.

კანთიადზედ წულის პირას მიფრინდა და დაიწყო ბანაობა.

რა საკვირველი მოუფენია, — სთქვა ორნიტოლო-გიის პროფესორმა, რომელიც ამ დროს ხიდზედ მიდი-ოდა, — ამ ზამთარში და მერცხალი წყალში ბანაობდეს! და იმან ამის შესახებ ვრცელი ცნობა დასწერა ადგილო-ბრივ გაზეთში. ყველა საჭიროდ სთვლიდა ამ წერილის აზრებით ესარგებლა იმის და მიუხედავად, რომ მასში აუარებული უცხო სიტყვები იყო, რომლებიც ბევრს სრუ-ლიად არც კი ესმოდა, რას ნიშნავდნენ.

— დღეს კი ეკვიპტეში გაუფრინდები, — გადასწვი-ტა მერცხალმა, და ამ აზრმა მშვენიერ გუნებაზედ და-ყენა. მთელი დღე ქალაქის დათვალიერების მოხდობა და სამრეკლოს ჟვარზედაც ბევრი ხანი ისვენებდა. ყველაგან, სადაც უნდა მიფრინა ილიყო, ბელურები ერთმანეთს ჭი-ჭიკით ატყობინებდნენ: „შეხეთ, რა წარჩინებული უცხო-ელიაო!“ — რაც საკმოდ ასიამოვნებდა მას.

მთვარე რომ ამოვიდა, მერცხალიც ისევ ბედნიერ პრინციან დაბრუნდა.

— ეკვიპტეში ხომ არას დამბარებ? — ჰკითხა იმან, აი, უნდა ეხლა გაგმტზავრო.

— მერცხალიც, ტურთა მერცხალიც, — უთხრა პრინ-ციმა, — იქნებ ერთს დამეს კიდევ დარჩე ჩემთან?

— ეკვიპტეში რომ შელიან, — უპასუხა მერცხალმა; — ხვალ ჩემი მეგობრები ჩანჩქრებისკენ გაუფრინდებიან. იქ, ხშირ ჭალებში წულის პირად ნიანკნი სთვლემენ და ჯვარისანი კლდის მძაფრ ტახტზედ დაბრძნებულა ღმერთი — შემნონი. ის მთელი დამე ცას შესტყერია, და დილის ცისკარი რას გამოჩნდება, მხიარულის ადტირებულის ძახილით მიესალამება... და კვლავ მდუმარებას ეძლევა. ყვითელი ღომნი წულის დასაფკვად შუადღისას იქ იკრა-ბებიან. იმათა თვალნი მწვანე ბივრისს მაგონებენ, და მგვეთრი ხმა კი თვით ჩანჩქერის შხუილს აურეებს.

— მერცხალიც, მერცხალიც! — კვლავ შევედრა პრინ-ცი, — იქ, შორს, სახლის სახურავს ქვეშ გამართულ ოთახში ახალგაზრდას ქალაქებით საესე მაგიდაზედ თავი ჩაუქინდრავს. გვერდზე ჭიქაში უკვე დამჭანარი იის თაიგული უდგია. იმას შავი ხუჭუჭა თმა აქვს, ლა-ლის ტურები, და მის თვალებში ფიქრი გამოკრთის. ის ისწრაფის თეატრის დირექტორს პიესა გაუთაოს, მაგ-რამ ძლიან სცოვა, ხელები მოლად გაჭფიხხებია: ბუნარ-ში კარგა ხანია ჩქარა ცეცხლი და შიმშილისაგანაც ლა-მის გული წაუვიდა.

— კარგი, ერთ დამეს კიდევ გაგატარებ აქ, შენ-თან, — უთხრა მერცხალმა, რომელსაც მართლა კეთილი გული ჰქონდა. — ამას მეორე ჯალი წაუდო?

— ვაი, რომელია აღარა მაქვს! — უპასუხა პრინციმა, — მარტო თვალები და დამრჩენია. ისი-ნა ამ ათასი წლის წინად ინდოეთიდან გამო-ტანილი იშვიათი საფორცისაგან არაინ გაკეთე-ბული. ამოიღე ერთი მათგანი შენი ნისკარტით და წაუდე. ის ამ თვალს ოქრომკვდელს მიჭუიდას, იუი-დან თავისთვის იმ ფუდით საჭმელს და შეშას, და თავის პიესასაც დაათავებს.

— ძვირფასო პრინცი, — ცრემლ-მორეულმა უთხრა მერცხალმა, — მაგას ვერ ვიქმ.

— მერცხალიც, მერცხალიც, სასრულე ჩემი თხოვ-ნა, — არ ეშუებოდა პრინცი. და მერცხალმაც ამოცადა

პრინცს ერთი თვალი და წაუღო იმ ახალგაზრდას. სხლის სახურავში ჭეჭრუტანა იყო, საიდგანად ადვილი იყო მის ოთახში ჩასვლა. ახალგაზრდას ხელის გულებზედ თავი დაეღო და ფრთების შრიალი არც კი შესძია; როცა კი თავი მალდა აიღო, დამკვანარ იის თაბუღულში შეამჩნია საუცხოო საფირონი.

— ოჰო, უკვე ჩემი ნიჭის თავგანისმცემლები გამჩენილან, — წამოიძახა იმან, — ეს აღბად ერთი იმთათაგანისგან არის! ეხლა კი შემიძლიან ჩემი ზიესა დავათავო, — და თავის თავი მან სრულიად ბედნიერად ივრძინო.

მეორე დღეს მერცხალი ნავთსადგურისკენ გაფრინდა. შემოჰდა დიდი ხომალდის იატაკის ერთს მალაღბლებზედ და უცქეროდა, როგორ ეზიდებოდნენ მუხღვურები თოკებზედ ტრიუმფიდან მძიმე ყუთებს.

— ასწით! — უვიროდნენ ისინი ყოველთვის, როცა ახალი ყუთი გამოჩნდებოდა ლიუკის ამონახურეტიდან.

— კვავებტეში მივფრინავ! — ჭიკჭიკობდა მერცხალი, მაგრამ მას უერს არავინ უგდებდა; მთვარის ამოსვლისას კი ისევ ბედნიერ პრინცთან დაბრუნდა.

— ეხლა კი უნდა მართლა გამოგეთხოვო, — უთხრა მან.

— მერცხალო, მერცხალო, დარჩი კიდევ ჩემთან.

— ეხლა ზამთარია, — უზასუნა მერცხალმა, — და ჩქარა ცივი თოვლი ქალაქს დაჭურავს. კვავებტეში თბილი მზე ანათებს ბზის ხეს და ხიანტები, მლამში მწოლნი, ზარმაცად იტყვიან ირავე მხარეს. ჩემი ამხანაგები უკვე ბუდეებს აკეთებენ ბელბეგის ტაძარში, ხოლო წითელი და თეთრი შტრედები კი ღულუნით უცქერაან შათ. ტურფა პრინცო, უნდა დაგანებო თავი. მომავალ გაზაფხულზედ კი ორს მშვენიერ ქვას მოგიტან იმით მაგიურად, რომლებიც შენ გაეცი. ის ღალი მუქს ვარდს გადააჭარბებს თავის სიწითლით, ხოლო საფირონი ცისფერი ზღვის ლაგუნადს აჯობებს.

— აგერ ბაღში, პატარა ბილიკზედ, — უთხრა ბედნიერმა პრინცმა, — წუმწუმების პატარა გამოიდავი სდგას. თავისი საქონელი უცაბედად რეში ჩაუვარდა და წუმწუმები წაუხდა. ეხლა მამა სცემს მას, თუ რამოდენიმე ფული მაინც არ მიიტანა სახლში, და აგერ ის სტირის, უფესსადმელო, უწინდო და თავშიშუკლია. აი, ამოდე ჩემი მეორე თვალიც და მიეცი მას, მაშინ ის გადარჩება ტემას.

— კიდევ ერთს დამეს დაუჩუბი აქ, — უთხრა მერცხალმა, — მაგრამ შენ კი თავადს აღარ ამოგაცლი: მაშინ ხომ სრულიად დაბრმავდები.

— გვედრები, პატარა მერცხალო, ამისრულე, რასაც გთხოვ, — უზასუნა პრინცმა.

მერცხალმა გაუგონა, და საფირონით დაბლა დაეშვა. პატარა ქალს გვერდით ჩაუქრალა და ძვირფასი ქვა ხელში ჩაუღო.

— რა ღამაში შეშას! — წამოიფიქრა პატარა ქალმა და სახარულით გაიქცა სახლში.

პრინცთან რომ დაბრუნდა, მერცხალმა უთხრა: — აი, შენ ეხლა უსინათლო ხარ, და მეც სამუდამოდ შენთან დავრჩები.

— არა, პატარა ფრინველო, — უზასუნა საბრძლო პრინცმა, — შენ უნდა კვავებტეში გაფრინდე.

— მე სამუდამოდ შენთან დავრჩები, — გაიმეორა მერცხალმა და იმის ფეხთ ქვეშ მიეძინა.

მთელი მეორე დღე პრინცის მხარზე მჯდარი მოუთხრობდა მერცხალი, რაც შორეულ უცხო ქვეყნებში ენახა. ის უამბობდა ვარდისფერ უაჭირზედ, რომლებიც მრავალ რიგებად ჩამწკრივებულან ნილოსის ნაპირებზედ და თავისი მახვილი ნისკარტებით წითელ თევზებს იჭერენ; უამბობდა სიფიქსის შესახებ, რომელიც ისევე ხსენია, როგორც თვით მსოფლიო, სცხოვრობს უდაბნოში და უგულაფერი იცის; ვაჭრების შესახებ, ხელის ნაბიჯით რომ მისდევენ თავის აქლემებს და ხელში ქარვის კრიალსნები უჭირავთ; მთვარის მთების შეფეხზედ, რომელიც ისე შავია, როგორც შავი ხე, და თავგანსა სცემს ბრალის დიდს ნატებს; დიდს, მწვანე გველებზედ, რომელსაც ბზას ხეზედ სძინავს: ოცი ქურუმი თაფლის კვრებით ჰკვებავენ მას; უამბობდა იმ ქონდრის ხალხზედ, რომლებიც განიერ სწორე ფოთლებზედ სცურავენ დიდს ტბაში და ჰეპელებს ეომებიან.

— ტურფა მერცხალო, — უთხრა პრინცმა, — საგვირგველ საგნებზედ მომითხრობ შენ მე, მაგრამ უგულაზედ უფრო კი აღამიანთა ტანჯვა მაწუხებს და მაკვირვებს. სიდატაკზედ მომეტებელი უბედურება აღარა იქნება რა. შემოიარე ჩემი ქალაქი, მერცხალო, და შემდეგ მიამბე, რასაც ნახავ.

და მერცხალიც გაფრინდა. იმან ნახა, როგორც მხიარულდებდნენ მდიდრები თავიანთ დიდებულ დარბაზებში იმ დროს, როცა ღარიბნი მათი ეზოს კარებების წინ ისხდნენ. შემოუარა ბნელს ქუჩებსაც და ნახა მშვიერ ბავშვთა მკრთალი სახენი. ისინი სუგდიანად გაჭურვებდნენ ბნელს ქუჩას. ხიდის თად ქვეშ ორი პატარა ბიჭი იწვა, ჩახუტულნი, რომ ერთმანეთი გაეთბოთ. „რა რიკა მშინა!“ — ჩიოდნენ ისინი. — „აქ წოლა არ შეიძლება, აკრძალულია!“ — დაუფიქრა იმათ პოლიციელმა, და ისინიც წვიმა-ავღარში სხვა მხარეზედ წავიდნენ.

მაშინ მერცხალი მიფრინდა პრინცთან და უგულაფე უამბო მას.

— თხელი იქრეს ფურცლები მაკრავს, — უთხრა პრინცმა, — ამიტენი ის ფურცელ-ფურცელ და დარბობ

დაურიგე. აღამასება ვოკლეივის ჰეიქრობენ, ვითომ
ოქრას შეუძლიან მთა გახედიერება.

ფურცელს ფურცელზედ ამოებდა მერცხალი ბედნი-
ერს შრინცს, სხამ ის სრულყოფით ვიფურულო და უმხო
არ გახდა. ფურცელი ფურცელზედ მიჭებდა მას ღარი-
ბებთან. და ბევრს ბავშვს ღოუება დაუწოლდა და ესლა
ისინი მხარულად თამაშობდნენ ქუჩებში. „ხვენ ესლა
შერა გვაქვს!“ — უაბობდნენ ისინი ერთმანეთს.

მაგრამ აი თაყულიც მოვიდა, და მას მოჰყვა ეიხვა.
ქუჩები გავერცხლისფერდნენ და ისე გაღამაზდნენ; სხუ-
რავებიდგან ბოლოს ხანჯლებივით ჩამოკადებულავენენ
გძელი ვინულები; ყველა ტყავში გაეხვია და თბილად
ჩაცმულია ბავშვები ვინულზედ სრიალობდნენ.

საბოლოო მერცხელს უფრო და უფრო სცილდა, მა-
გრამ შრინცს კი მაინც არა მორდება, ისე შეუჟვარდა მას
იგი. ფურჩუების წინ ჩუმად ჰქვენკვდა დაბნულ სამტე-
რებს და ფრთების შრიალით უნდოდა გამთბარიყო. მაგ-
რამ ბოლოს იგრძნო, რომ მისი აღსასრულის დღე მო-
ხლოვებულაყო. უკანასკნელად შეაფრინდა იგი შრინცს
მხარზედ.

— მშვიდობით, ტურფა შრინცო, — ჩაუჩურჩულა
იმან. — ნება მომეცი ხელზედ გაკოცო?

— შე მოხარული ვარ, რომ ბოლოს მაინც გგვიშ-
ტეში მიფრინავ, შატარა მერცხალო, — უთხრა შრინცმა,
— ძაღვან დიდხანს მოგიხდა აქ დარჩენა, მაგრამ, მოდი,
ტუჩებში მიკოცე, იმიტომ რომ შე მიუვარხარ შენა.

— ეგვიშტეში კი არა, სიკვდილის საშეფოში მივ.
ფრინავ. სიკვდილი და ძალი — ძმები არიან, სამ მარ-
თაღია? — და აკოცა რა შრინცს ტუჩებში. მკვდარი დაეცა
იგი მის ფეხებთან.

სწორედ ამავე დროს რაღაც უცნური ტაცანი გაა-
სმა ქანდაკების შიგნიდგან, თითქოს რაღაც გატყდაო:
ეს ტუვიის გული არად გაიძო — აღბაღ ეიხვა ძაღვან
ძლიერი იყო.

დილა ადრეან მერვე დღეს ქალაქის თავი და ქა-
ლაქის საბჭოს ერთი წევრი დაბლა ბაღში სეირნობდნენ.
სვეტის ახლა რომ გაიარეს, ქანდაკებას შეხედეს:

— დმერთო ჩემო! ჩვენი შრინცა რაგორ გაუფუ-
თადა და საბრალოდ გამოიფურება, — სთქვა ქალაქის
თავმა.

— მართლაც, რა წამოიძახა საბრალოა. — საბჭოს
წევრმა, რომელც უოკლეივის ქალაქის თავის უურმო-
ჭრილია უმა იყო.

ისინი მადლა ავიდნენ და დათვადაურეს.

— ხმლის ვადაღვან ღაღა ამოკარდნაა, თვალებიც
დაჰკარგვია და ოქროც მოლად გადასვლია, — სთქვა თავ-
მა. — დმერთმანი მთხოვარას ბევრიო აღარა სჯობიან!

— მოხვარას ბევრიო აღარა სჯობიან, — გამკოკონს
საბჭოს წევრმაც.

— ფეხებთან კი მკვდარი ჩიტი უნდა გახედიერდეს
თავმა. — ჩვენ სწორედ უნდა განკარგულია გამოვცო, —
რომ ფრინველთ კერძალებათ აქ სიკვდილი!

და ქალაქის მდივანმა შესაფერი შინაარსის განცხა-
დება შეადგინა.

შემდეგ იმათ გადასწავიტეს ჩამოიღონ ბედნიერო
შრინცის ქანდაკება.

ის ღამეში აღარ არის, მა მასდაძე უსარგებლოა, —
სთქვა უნივერსიტეტში შოფმა ესაუტავის შრეფე-
სორმა.

ქანდაკება დიდს ღუმელში დააღნეს, და თავის მიწ-
ველით შეიკრიბნენ საბჭოს წევრები, რომ გადაეწვიტათ,
რა გააკეთაან ამ ღითონისაგან.

— რასაკვირვებია, ჩვენ უნდა სხვა ქანდაკება დაუ-
დგათ, — სთქვა თავმა, — და ეს ოქნება ჩემი საკუთარი ბი-
უსტი.

არა ჩემი, — წინააღუდვა უოკელი წევრი საბჭო-
სი, და შეკამათდნენ.

როცა უკანასკნელად მათი ამბავი მომივიდა, ისინი
ისევ განაგრძობდნენ კამათს.

— საკვირვოვებია! — სთქვა უფროსმა ღითონის
გამდნობმა მუშამ: — ეს განობილია ტუვიის გული არა
დნებმა ღუმელში. უნდა კადაკადოთ! — და გადააკდეს ის
ნაკვში, სადაც კვდო მკვდარი მერცხალიც.

— წადი და რაც უფრო ძკარფასა რამ იყოს იმ
ქალაქში, ის მომიტანე, — ურძანა დმერთმა ერთს ანკე-
ლოზს; და ანკელოზმაც მიუტანა ტუვიის გული და
მკვდარი მერცხალი.

— შენი არჩევანი ჭეშმარიტია, — უთხრა დმერთმა:
— ვინაიდგან დღეს იქით ჩემს, სამოთხის ბაღში ეს ფრინ-
ველი ოჭიკჭიკებს და ბედნიერი შრინცა მუდამ მადიდეს
შე ჩემს ბრწუინულე განსასვენებელში.

გ. ნამორაძე.

უკანასკნელი ამბები

როგორც სარწმუნოა წყაროებიდან შევიტყუთ
ფინანსთა სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია ნიკო
ნიკოლაძის ინიციატივით განზრახული სააქციონე-
რო საზოგადოება მელვინეობისა ქუთაისის გუბერ-
ნიაში. აქციების განაღდებას თურმე რუსეთის ერთ-
ერთი ბანკი კისრულობს, რომელიც ბატონ ნიკო-
ლაძეს მილიონ-ნახევარ მანეთს აძლევს საქმის მო-

საწყობად. ამბობენ ნ. ნიკოლაძე გაზაფხულიდანვე შეუდგება ქუთაისში დიდი სარდაფის აშენებას. მთავარ ხელმძღვანელად მოიწვევს ერთ-ერთ პროფესორს და სხ. საზოგადოებას სარდაფი ქუთაისის რომელიმე განაპირა ადგილზე ექნება, მთავარი კანტორა კი შუაგულ ქუთაისში. (ს)



სოფლების აყრა *)

ხმები დადიოდა, რომ საამილახვრო მამული „ტირიფონის ველი“ სამხედრო უწყებაზედ გადადისო და სოფლების აყრას აპირებენო; მეც ადგილობრივ დავიარე, დამინდა ვაუწყო ქართველ საზოგადოებას ნახული და გაგონილი.

სამხედრო უწყებას გადაუწყვეტია შეიძინოს საამილახვროში „პოლიგონისათვის“ **) 15,000 დესეტინა მამული.

ეს მამული მდებარეობს შემდეგ სამხედროებში: აღმოსავლეთით არტყია სოფლები: სობისი, დიდი ხურვალეთი, ორჭობანი და ახალშენი; დასავლეთით — მდ. მტკვარი; სამხრეთით — სოფ. ქალა, ზაალიშვილების მამული და კასპი; ჩრდილოეთით კი გორი, სოფ. ბერბუკი, ახალსოფელი და ზედდულეთი.

ამ სამხედროებში შედის „ტირიფონის ველი“ და „აშურიანი“, რომელთა შუა გავლილია მოტვლებილი გორები — საძოვრები სიგრძე-სიგანით 20—15 ვერსი.

ამ ზემოხსენებულ მამულში შემდეგი სოფლებია გაშენებული: უფლის-ციხე, ნადარბაზევი, ზეგარდა, ნიგოზა, ზემო რენე, ქვემო რენე, გამდლის-წყარო, კოდის-წყარო, პატარა ხურვალეთი, შაშვები და ნაწრეთი; ამ სოფლებში ითვლება ექვსას კომლამდი მცხოვრები, თითქმის სულ ქართველები არიან, ცოტა სომხებიც და ოსებიც იქნებიან.

ამ მამულით სარგებლობენ აგრეთვე გარეშე პირებიც, რომელნიც ათას კომლამდის ადიან.

*) ბ-ნო რედაქტორა, ერთი ზირა სსსსსსსს გა-
ზეთში გაგზავნე დასაბეჭდად და ერთსაც თქვენ გაგ-
ზავნით. Leg.

რედაქცია ათავსებს ყურ. „კადაში“ ამ წერილს,
რადგანაც იგი „სსს. გაზ.“-ში სავსებით არ დაბეჭდა.
რედ.

**) ადგილი, სადაც ვარს ავარჯიშებენ და ადგილ-
შეს მართვენ.

სახანოდ ითვლება ნადარბაზევი, კოდის-წყარო, ნიგოზა, პატარა ხურვალეთი და უფლის-ციხე, რომელიც ზომით იქნება 5,000 დესეტინამდის. აზნ. ბასილაშვილებისა იქნება 15,000 დესეტინამდის; გორის მამულიც შედის 800 დესეტინამდის. სოფ. რენეში, შაშვებში და ნაწრეთში ზოგი საგლებო ბანკს ეკუთვნის.

ამას გარდა „აშურიანის“ მამულში, მანთაშევმა რომ იყიდა, თავ. აპილახვრებისაგან 1,200 დესეტინა მამული, ეს მამულიც ამ ფარგლებში შედის. დანარჩენი მამული, რომელიც იქნება ვარაუდით 6,000 დესეტინამდის ეკუთვნის შემამულეებს და არიან მონაწილენი: თავ. სიფთა ერისთავი, თავ. გიორგი ოთარის ძე ამილახვარი, თავ. კოტე და გივი ივანეს ძენი ამილახვრები, თავ. დავით ლუარსაბის ძე ამილახვარი, თავ. დიმიტრი ამილახვარი, თავ. გრიგოლ ამილახვარი, თავ. გიგო ამილახვარი, თავ. გიორგი ამილახვარი, კინო მესხიშვილი, კნენა ქეთევან ირაკლის ასული ამილახვისა, თავ. გიგო ამირეჯიბი, თავ. სოლომონ ჩოლოყაშვილი, თავ. ი. დ. ფალავანდიშვილი, ნინო ზანდუკელი და ქარუმიძეები.

აგრეთვე ზოგიერთ სოფლებში გლეხებიც ურევნიან — მესაკუთრენი არიან.

„ტირიფონის ველი“ საუკეთესოდ ითვლება სახნავისათვის: სხვაგან რომ მოსცდეს, „ტირიფონაში“ მაინც მოვა კინახული.

ამ მამულს ვერ შეეღვევა: სოფ. ქალა, კასპი, მეტეხი, ახალშენი, ორჭოშინი, დიდი ხურვალეთი, ბერშუეთი, სობისი, ზედდულეთი, ახალსოფელი და სხვ.

თივით, საძოვრით, სახნავით ეს ზემოხსენებულ პირები ამ „ტირიფონით“ და „აშურიანით“ გამოდიან.

მთელი შუა ქართლის შუაგულია.

როდესაც გორში შევიარე საქმის გასაგებად ერთ მეეტლეს შევხვდი, ჩამოუგდე ამაზედ ლაპარაკი და მან მიამბო შემდეგი: „ამ სამი წლის წინად ერთი პოლკოვნიკი ...ძე დავატარე „ტირიფონის ველში“, იმ ზაფხულს პოლკისთვის თივას ათიბინებდა და მან ჩითხრა, — მე მთავრობას ვაცნობეო, რომ „ტირიფონა“ ლაგერისათვის შესაფერი ადგილიაო და ამის შემდეგ ამ მამულს ყურადღება მი-
აქციესო“.

რამდენად მართალია ეს, რასაკვირველია, შემოწმება უნდა, მე კი ამაში დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნებოდა.

პოლიტიკა ...ქმ იქნება არც კი იცოდა, რომ ეს შედეგი მოჰყვებოდა...

მაგრამ ის ქართველი მოხელენი, რომელნიც მომწყდარან თავიანთ მამულ-დედულს, თავის მიწა-წყალსა, არა იციან რა, ვის რა ეკუთვნის, ვინ სადა სცხოვრობს; მათ მხოლოდ იმ დაწესებულებების ცხოვრების მაჯის-ცემა ესმით და მათ ინტერესებს იცავენ, მათი მამული, მათი სამშობლო ის დაწესებულებაა, სადაც ემსახურებიან. ისინი გაქლენთილან ყოველ დღიურ „ისხოდიაში“ და „ვხოდიაში“ ქალაქებით, მათი ატმოსფერით ცხოვრობენ და მათი მტვერით სუნთქავენ.

ღიახ, ყველასათვის სამწუხაროა, რომ მომეტებული წილი ასეთები არიან. მხოლოდ თუ გამოჩნდება თითო-ოროლა მადლიანი ჩინ-ორდენიანი პირი, ის მხოლოდ წვეთია ჩვენს უკუღმართ ცხოვრებაში.

და ჩვენ ყველანი მადრიელნი უნდა ვიყვნეთ იმ პოლიტიკისა, რომ დღეს ქართველს სამსახურში აღარ იღებენ და ესენი ძალა-უნებურად დაუბრუნდებიან ჩვენ შინაურ ცხოვრებას.

შევხვდი ზოგიერთ გლეხს ამ სოფლების მცხოვრებლებს, ყველამ მწუხარება გამოსთქვა და გაიძახოდნენ: ჩვენ ჩვენის ნებით არ ავიყრებით და, თუ ძალათი აგვყრიან, მაშინ თავი ცოცხალი რაღად გვინდაო.

მემამულეებს ველაპარაკე გორში, ქალაში, კასპში და შემდეგი გადმომცეს: „ამ წლის ღვინობისთვის მაზრის უფროსისაგან ყველას დაგვირიგდა წერილები, სადაც გვთხოვდა, — შეგვატყობინეთ თქვენი სურვილისამებრ მამულის შეფასება (ваша добровольная оценка), ჩვენ ვუპასუხეთ, — ჩვენ არა გვსურს გავყიდოთ და, თუ მთავრობისთვის საჭიროა, ჩვენ რა შეგვიძლიანო“.

თითო-ოროლა მათგანი წრფელის გულითა სწუხან და თანაც ამბობენ, თუ კი პეტერბურგიდან გადაწყვეტილია ჩვენ ველარას გავაწყობთო.

ისე დალაჩრდნენ და დაკნინდნენ ჩვენი თავადაზნაურნი, რომ უბრალო პროტესტსაც კი ველარ ახერხებენ განუცხადონ სადაც ჯერ არს.


ერთმა დარბაისელმა მანდილოსანმა შემდეგი შენიშვნა მომცა: ჩვენი თავადაზნაურნი ლილიპუტებს წარმოადგენენო, მოთავე ჩვენ არავინა გვყავს და, აბა, რა შეგვიძლიანო.

მისივე სიტყვებს ვიმეორებ: საცოდავი ლილიპუტები, თუ კი პროტესტსაც ვერ განუცხადებენ, ის არა სჯობიან, რომ აღარ იყვნენ ამ ქვეყნად.

თუ მაინცა და მაინც მამულისთვის გული შეგტკივთ და მათ მცხოვრებლებისთვის, სადა ხართ აქამდის? რატომ ერთხელ არ ჩამოსხდით და არ აცნობებთ თქვენს წინამძღოლს?

სიტყვას აქ იტყვიო, იქ ეტყვიო. საქმეც სიტყვით იწყობა.

ეს ეროვნული კითხვაა, შუა ქართლის შუა გულის ამოგლეჯაა!.. მანამ დროა, შესძარით ყველანი.



უნდა აპყარონ შემდეგი სოფლები: უფლისციხე, ნადარბაზევი, ზეგარდა, ზემო და ქვემო რენე შაშვები, ნაწრეთი, ნიგოზა და პატარა ხურვალეთი. დანარჩენ სოფლებს: გამდლის-წყაროს შიგ სოფლის პირას სქრის, რაც კაი მამულია „კოდის-წყაროს ზედ შუაზედ სქრის, ორკომანს და ახალშენს გაუფლის, ასე რომ მათაც აღარ ედგომინებათ.


ამ ადგილებში სამხედრო უწყებას უნდა, და აბინაოს 100,000 ჯარის კაცი, ჯარი ავარჯიშოს და აღლუმები მართოს. აგრეთვე სამხედრო უწყება ფიქრობს მდ. ლიხვიდან გამოიყვანოს სარწყავი რუ, რომელიც „ტირიფონის ველის“ მოსარწყავად უნდა, გამოივლის ტორტალას ზევით და სოფ. იგუეთთან მდ. ლეხურაში ჩავა.

რაც სათივე იქნება საჭირო, მას ცხენებისთვის გამოიყენებენ, გაიყვანენ გზებს, ავტომობილებით მოძრაობა დაიწყება, ტელეფონით შეაერთებენ თავიანთ „პოლიგონს“ გორთან და რკინის გზის სადგურთან — მეტეხთან. გორში, ქალაში მეჯლისები, სალამოები გაიმართება და ყოველ ზაფხულს შეიტანენ სიმხიარულეს პროვინციაში.

გორელი ვაჭრები ხელს მოითბობენ, ყველაფერს ფასი დაედება, სანოვავე აიწევს, ქინახული გაძვირდება. თუ რომ ათი და ოცო ვაჭრობით გაკეთდება, მეჯვრის-ხევის, ხელთუბანის, ზახორის, ქალის, კასპის და მეტეხის საზოგადოებანი კი დაიმშვეა. მათ სამეურნეო განვითარებას გასაქანი აღარ ექნება.

ვისაც გეყურებოდეთ, თვალნი გაახილეთ!

Legatus.



თანამედროვე კარაბადინი

I

თუ გსურს იყვე რეჟისორი,
 არტიტი და დრამატურგი:—
 რომ თვალთმაქცურ ოინებით
 გაისქელო კისერ-ზურგი,
 რომ შეიქმნე შინ და გარედ
 გასაკიცხი, ცრუ და ურგი
 — უნდა ორჯელ მაინც ნახო
 მოსკოვი და პეტერბურგი.

II

თუ გსურს იყვე რედაქტორი
 სათემო და საქალაქო:—
 თუ გსურს ყველგან, ყველას გულში
 შეისროლო რწმენის მაქო,
 თუ გსურს ენა, უძელო ენა,
 ამუშაეო, ალაქლაქო,
 — უნდა ლანძლო ხან ეს! ხან ის!
 ხან ეს აქო! ხან ის აქო!

ფირუზა.

(შემდეგ აქნება).

საზოგადოების

საურედლებოდ

ქართველმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი ქონება უანდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. სხვათა შორის ამ ნაანდერძე ქონებაში იყო მისივე სახლი ქ. თბილისში, ანდრიას ქუჩაზედ, სადაც პოეტი სცხოვრობდა. თვით ილია ჭავჭავაძის სურვილი იყო, ყოველივე მისი ქონება დარჩენოდა სწორედ იმ საზოგადოებას, რომელიც ყოველი ქართველისათვის ძვირფასი უნდა იყოს. ამ სურვილს საერთო სურვილიც დაერთო, რომ პოეტის სახლი სახსოვრად დარჩენოდა ჩამომავლობას და ამ სახლში გამართულიყო რამე პოეტის სახლის პატივსაცემლად. ამის შემდეგ მარმარილოს წარწერაც გაუკეთეს სახლს, რომლითაც ყველას ეუწყა, ვინც სცხოვრობდა ამ სახლში.

სხვა და სხვა გარემოებამ ხელი შეუშალა ამ სახლის ვალისაგან განთავისუფლებას, შემოსავალი შემცირდა, ვალი გაორკეცდა და ბოლოს შეუძლებელი გახდა ამ სახლის შემოსავლით ვალის სარგებლის გადახდა. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ

ბელ საზოგადოებასაც არ მოეპოვებოდა რამე თავისუფალი თანხა, რომ ეს სახლი შეესყიდნა. და ამ საზოგადოების წლიურ კრებაზედ, რომელზედ, საბოლოოდ გამოირკვა, რომ გამგეობას უსახსრობისა გამო შეუძლებლად ჰქონდა დასახული ამ სახლის შეძენა. ბანკის გამგეობაც, რომელსაც ეს სახლი საჯარო ვაჭრობის შემდეგ დარჩა, მეტს ველარ მოიცილიდა, რადგანაც კერძო პირთ ჰსურდათ ამ სახლის შეძენა. ამნაირად თუ რამე საღსარი არ აღმოჩნდებოდა, ძველ ქართველობას დიდი სირცხვილი ელოდა — ეს სახსოვრად დატოვებული სახლი სამუდამოდ უნდა დაკარგულიყო...

აი ამ გარემოებამ დიდათ შეაშფოთა პოეტის ყველა თაყვანისმცემელი, და იქვე კრებაზედ რამოდენიმე პირმა განაცხადა სურვილი, ამ საქმეში წ. კ. ს. გამგეობას დახმარებოდა, ფულის შეკრება ეკისრნა, ეს სახლი საზოგადოებისათვის არ დაეკარგა და ისევ წ. კ. გ. საზოგადოების კუთვნილებად გადაექცია. საბოლოო გეგმა კი ის არის, რომ მოიკრიბოს თანხა და სახლი ვალისაგან განთავისუფლდეს, შეკეთდეს, შიგ გაიმართოს სამკითხველო და პატარა თავშესაფარი მოხუც მწერალთა და მსახიობთათვის. კერძო კომისია წ. კ. საზ. გამგეობასთან ერთად უკვე შეუდგა ამ საქმის განხორციელებას.

ებლა ყოველივე საზოგადოების თანაგრძნობაზედ არის დამოკიდებული. და ნუ თუ ჩვენი შეგნებული საზოგადოება იმას მოინდომებს, რომ მის სასახლო მოღვაწის სადგომი სახლი, თვითონ მისგანვე საზოგადო კუთვნილებად დატოვებული კერძო ხელში უნდა გადავიდეს და შთამომავლობას სამუდამოდ დაეკარგოს!..

სხვა ქვეყნებში სახელოვან პირებს მადლიერი შთამომავლობა თვითონ უგებს ბინას და სახსოვარს, და ნუ თუ ჩვენ, უკვე აგებულია შენახვა და მოვლა ვერ უნდა შევსდლოთ?! ეს ხომ სამირცხვინო საქმე იქნება, მეტად სასაყვედურო და შთამომავლობისაგანაც დასაგმობი!..

ამიტომაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველ საზოგადოებას საკმაოდ მოეპოვება ისეთი წევრი, რომელიც მას არ მიიყვანს სირცხვილის კარამდე, დახმარებას გამოუჩენს ამ საქირო საქმეს და თავის წვლილსაც გაიღებს, რომ განზრახული საქმე ნაყოფიერად განხორციელდეს.

მსურველთ შეუძლიანთ თავისი წვლილი მიასწოდონ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას ქ. თბილისში.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

გ ა ნ ც უ ა დ ე ბ ა ნ ი



ხეხილების გასხვლა

ს. ს. ხეთაგურის სანერგე

მსურველთა აწვდის გამოცდილ მებაღეებს ხეხილის გასახვლელად. ცნობების მიმართვა შეიძლება წერილობით: თბილისი, ს. ს. ხეთაგურის სანერგე.

Тифлисъ питомники С. С. Хетагури.

1894 წლიდან

1913 წლამდის

ს ა უ კ ე თ ე ს ო დ გ ი ნ ო დ ი თ გ ლ ე ბ ა დ გ ი ნ ო

სახოგადობა „კ ა ხ ე თ ი“-სა

ტელეფონი:

№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63

და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სს.